

ნათია დუნდუა

ბ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

ქართული დამწერლობით შესრულებული სპარსულენოვანი ხელნაწერების პალეოგრაფიული, ტექსტოლოგიური და ფონეტიკური შესწავლა და შედარებითი ანალიზი

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ქართული დამწერლობით შესრულებული სპარსულენოვანი სამი ხელნაწერი: S-16, S-418 და H-2290.

S-16 ქართული ასოებით ტრანსკრიბირებული სპარსული სახარებაა, რომელიც მე-17-მე-18 საუკუნეებით თარიღდება და წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვან ნიმუშს ირან-საქართველოს ურთიერთობების სხვადასხვა კუთხით საკვლევად. ხელნაწერი S-418 წარმოადგენს XVIII საუკუნის ლექსების კრებულს, რომელშიც შესულია 3 პოემა ქართულ ენაზე. H-2290 არის ქართულ-სპარსულ გამოთქმათა ორენოვანი ტექსტი, სადაც ერთმანეთის ქვეშ წარმოდგენილია ქართული ფრაზები და მათი ქართული ასოებით ტრანსლიტერირებული სპარსული თარგმანი.

გაანალიზებული მასალა ცხადყოფს, რომ ქართული დამწერლობით შესრულებული სპარსულენოვანი ხელნაწერები, ძირითადად, პრაქტიკული მიზნებისთვის იყო შექმნილი – როგორიცაა ენაში პრაქტიკა და სპარსული სიტყვებისა და ფრაზების ყოველდღიური გამოყენება. აღნიშნული სამი ხელნაწერის ფონეტიკური შესაბამისობის შედარება გვიჩვენებს, რომ ავტორები სხვადასხვანაირად ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ სპარსული ბგერების შესაბამისი ეკვივალენტები. ამრიგად, ეს ტექსტები მეტად საყურადღებო და სანდო მასალას იძლევიან ისტორიული ფონეტიკის მრავალი შეუსწავლელი საკითხის გასაშუქებლად. გარდა ამისა, ისინი წარმოადგენენ მნიშვნელოვან წყაროს მე-17-მე-19 საუკუნეებში საქართველოსა და სპარსეთის ისტორიული, სოციოლოგიური, კულტურული და ენობრივი ურთიერთობების მრავალი ასპექტისა.

საკვანძო სიტყვები: ხელნაწერები, სპარსული ენა, ქართული დამწერლობა, სახარება, ფონეტიკა

კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ხელნაწერი S-16 ქართული ასოებით ტრანსკრიბირებული სპარსული სახარებაა, რომელიც მე-17-მე-18 საუკუნეებით თარიღდება და წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვან ნიმუშს ირან-საქართველოს ურთიერთობების სხვადასხვა კუთხით საკვლევად.

რადგანაც სპარსული და ქართული განეკუთვნებიან სრულიად განსხვავებულ ენათა სტრუქტურებს, საინტერესოა იმის ნახვა, თუ როგორ უმკლავდებოდა ხელნაწერის შემდგენი/გადამწერი სირთულეებს, რაც დაკავშირებული იყო ისეთი სპარსული ბგერებისთვის ეკვივალენტების არჩევასთან, რომელთაც ზუსტი (ან არანაირი) შესატყვისი არ ჰქონდათ ქართულში. ტრანსლიტერაცია მეტად ფაქიზადაა შესრულებული. იგი უმეტესად იძლევა სტაბილურ ეკვივალენტებს თითოეული ასოსთვის. ამის გამო აღნიშნული ხელნაწერი წარმოადგენს სპარსული ფონეტიკის ისტორიისთვის ღირებულ მასალას, რადგან ტექსტი შესრულებულია ქართული ანბანით, რომელიც თავისი არსით ენის ფონოლოგიურ ანალიზს ეფუძნება, არ არის ორაზროვანი სპარსულისგან განსხვავებით, და ყველა ბგერას ერთი ნიშანი შეესაბამება.

ცხადია, რომ S-16-ის შემდგენი ზედმიწევნით კარგად ფლობდა ქართულ და სპარსულ ენებს და კარგად იცოდა ორივე ენის ფონეტიკისა და მორფოლოგიის ყველა ნიუანსი.

კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ხელნაწერი S-418 წარმოადგენს XVIII საუკუნის ლექსების კრებულს, რომელშიც შესულია 3 პოემა ქართულ ენაზე. ხელნაწერის აშიებზე გვხვდება ნაწყვეტები სხვა ქართული ლექსებიდან და პოემებიდან. ასევე, ქართული ასოებით შესრულებული თურქული და ერთი სპარსული ტექსტი ქართული თარგმანით. რასაც მოსდევს ერთგვარი ლექსიკონი - ქართული ასოებით შესრულებული სპარსული სიტყვებისა და ფრაზების ქართული თარგმანები. ხელნაწერის კიდეებზე სხვადასხვა ხელით მიწერილია სხვადასხვა ავტორის (თეიმურაზი, რუსთაველი, არჩილი, ბესიკი, ანბანთქება...) ლექსები. ლექსებს ტექსტთან საერთო არაფერი აქვთ. ისინი ძირითადად სატრფიალო ხასიათისაა. სპარსული ასოების ქართული ანბანით გადმოცემისას არ არის დაცული მყარი ეკვივალენტები და ავტორი სპარსულ სიტყვებს ჟღერადობის მიხედვით შეუსაბამებს სხვადასხვა ქართულ ფონემას. განსაკუთრებით აღსანიშნავია: ალფის შესაბამისად ქართული უ-ს ხმარება; ჰ -ს დაკარგვა სიტყვის თავში (ხმოვნის წინ); მჟღერი ბგერის დაყრუება სიტყვის ბოლოში; ფ -ს გადმოტანა ვ-თი. ტ-ს ეკვივალენტად ორი ს. თ-ს შესატყვისად ზოგჯერ ნახმარია ტ. კ გადმოცემულია ხან ზ-თი, ხან კი - ს-თი. გაორკეცებული თანხმოვნები წარმოდგენილია ცალფად. მოკლე ხმოვნები გადმოტანილია სხვადასხვაგვარად. ასევე, მეშველი ზმნები ბოლოკვეცილადაა გადმოცემული.

ყოველივე ეს უეჭვალს ხდის, რომ ავტორს სპარსული სიტყვები გადმოაქვს ისე, როგორც ესმის. ის სრულყოფილად არ ფლობს სპარსულ ენას (მდრ. ბეგტ - ბეჰმთის ნაცვლად). მოხმობილი მასალიდან ჩანს, რომ ის სასაუბრო სპარსულის მცოდნეა (მაგ., უნჯა, მიხამ, ინჯავს და სხვ.). სავარაუდოდ, მინაწერები ეკუთვნის კრებულის მფლობელს. რადგანაც მინაწერებსა და კრებულში შემავალი პოემების

ტექსტებს შორის არანაირი კავშირი არ არის, გაურკვეველია, მინაწერთა წარმოშობის საფუძველი.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ხელნაწერი H-2290 წარმოადგენს ქართულ-სპარსულ გამოთქმათა ორენოვან ტექსტს, სადაც ერთმანეთის ქვეშ წარმოდგენილია ქართული ფრაზები და მათი ქართული ასოებით ტრანსლიტერირებული სპარსული თარგმანი.

ხელნაწერი სულ ორი გვერდისგან შედგება და ეს ორივე გვერდი განსხვავდება ერთმანეთისაგან როგორც გაფორმებით, ისე ბგერათა გადმოტანით. ვფიქრობთ, ხელნაწერს ორი ავტორი უნდა ჰყავდეს, რომელთაგანაც ერთი კარგად ფლობს სპარსულს, ხოლო მეორე – შედარებით ცუდად. როგორც ჩანს, ხელნაწერის დანიშნულება სასწავლო ხასიათისაა და განკუთვნილია სპარსულის შესწავლით დაინტერესებული ქართველი მომხმარებლისთვის.

რომ შევაჯამოთ, გაანალიზებული მასალა ცხადყოფს, რომ ქართული დამწერლობით შესრულებული სპარსულენოვანი ხელნაწერები, ძირითადად, პრაქტიკული მიზნებისთვის იყო შექმნილი – როგორიცაა ენაში პრაქტიკა და სპარსული სიტყვებისა და ფრაზების ყოველდღიური გამოყენება. აღნიშნული სამი ხელნაწერის ფონეტიკური შესაბამისობის შედარება გვიჩვენებს, რომ ავტორები სხვადასხვანაირად ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ სპარსული ბგერების შესაბამისი ეკვივალენტები. ამრიგად, ეს ტექსტები მეტად საყურადღებო და სანდო მასალას იძლევიან ისტორიული ფონეტიკის მრავალი შეუსწავლელი საკითხის გასაშუქებლად. გარდა ამისა, ისინი წარმოადგენენ მნიშვნელოვან წყაროს მე-17-მე-19 საუკუნეებში საქართველოსა და სპარსეთის ისტორიული, სოციოლოგიური, კულტურული და ენობრივი ურთიერთობების მრავალი ასპექტისა.